

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№65

ქ. თბილისი; 24 ივლისი, 2020 წ. 11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჯოლიანი (თავმჯდომარე)
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი -
სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული
სამსახურის უფროსი მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის
სამსახურის უფროსი თამარ მელიქიშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჯოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ „მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ (ს/კ: 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ „მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N148 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
4. „ქ. თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. N337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.39.012.056) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. I შესახვევი, N1-ში მდებარე 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.05.013.208) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. „ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 ივლისის N162 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრო/რაიონი, კორპუს N19-ში (ნაკვ. 07/029, საკადასტრო კოდი: 01.19.20.007.029.01.015) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. „ქალაქ თბილისში, ალექსი გობრონიძის ქუჩა N25ზ-ში (საკადასტრო კოდი N01.11.17.005.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩის II ჩიხი, N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
10. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ჩიხი N4-ში, ნაკვეთი N01/175 (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
11. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ნაკვეთი N04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.139) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
12. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N12-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.145.01.509) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
13. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.301.01.670) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
14. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.070.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
15. „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N17-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.040) პირდაპირი განკარგვის წესით ნელი მუხუღიშვილისთვის (პ/ნ: 13001012540) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
16. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N23-33-ის მიმდებარედ არსებული 981 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.017.023) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი

განკარგვის წესით შპს „სანრაიზ ჰოსფიტალითისთვის“ (ს/ნ: 405356001) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.032) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერნინისთვის“ (ს/კ: 400189666) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, დედაქალაქის ახალი გენერალური გეგმის თანმდევი რეგულაციების შესაბამისად, 2019 წლის 1 აპრილის შემდგომ, განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამოიწველ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა აიკრძალა.

ბატონი სერგოს თქმით, მოგვიანებით, საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონს დამატება 154 მუხლი, რომლის თანახმადაც მიწის ნაკვეთის დაყოფის/მიწის ნაკვეთების გაერთიანების რეგისტრაციას სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებული მიწის ნაკვეთის დაყოფის/მიწის ნაკვეთების გაერთიანების პროექტის საფუძველზე. ამავე მუხლის თანახმად, ეს პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, აგრეთვე საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

სერგო ბირკაძის თქმით, არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ისეთ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც დედაქალაქის გენერალური გეგმის თანახმად, წარმოადგენენ განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამოიწველ მიწის ნაკვეთებს. ამრიგად, მესაკუთრები აღმოჩნდნენ გამოუვალ მდგომარეობაში, რადგანაც 2019 წლის 1 აპრილის შემდგომ არ ქონდათ შესაძლებლობა განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამოიწველ მიწის ნაკვეთებზე მოეთხოვათ ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა.

სერგო ბირკაძემ იქვე დასძინა, რომ მოქალაქეთა აღნიშნული კატეგორიის ინტერესების დაცვისა და საკუთრების უფლების სრულად რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მათ მიმართ გატარდეს გარკვეული სახის ხელშეწყობი ღონისძიება და მოხდეს წესების 24-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის, გონივრულ ფარგლებში გადაწევა, კერძოდ, ცვლილების მიხედვით, განისაზღვრება, რომ 2020 წლის 1 იანვრიდან დაუშვებელი იქნება განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამოიწველ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა.

დასასარულს, მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა არ მოხდება ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დისკრეციულ უფლებამოსილებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული იქნება, ყოველი კონკრეტული მიწის მესაკუთრის მიმართ ინდივიდუალურად, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და არსებული ურბანული სივრცის გათვალისწინებით

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძველად ასევე უნდა

მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მიითითებულ შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალბატონი მარიამის თქმით, მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის N57 დადგენილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, რომლის პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ ტერიტორიებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ2-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, გარდა შესაბამისი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული ტერიტორიებისა;

ბ) მე-2 პუნქტი ადგენს განსხვავებულ ტერიტორიებს იმ ობიექტების განთავსებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მობილურ გარე ვაჭრობის ობიექტებს, რომელთა სიმაღლე არ აღემატება 1,1 მეტრს, სიგრძე 0,8 მეტრს და სიგანე 0,6 მეტრს. მათი განთავსება ნებადართულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, გარდა დანართი N2-ით (რუკით) გათვალისწინებული ტერიტორიებისა.

გ) მე-3 პუნქტის თანახმად, დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება გარე ვაჭრობას დაქვემდებარებულ ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილურ დანადგარებზე, ბეჭდური პროდუქციის (გაზეთი, წიგნები, ჟურნალები და სხვ.) სარეალიზაციო შენობა-ნაგებობებზე და კონკრეტული ღონისძიებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე განთავსებულ დროებით შენობა-ნაგებობებზე, რომელთა განთავსება ნებადართულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

ქალბატონი მარიამის თქმით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ბეჭდური პროდუქციის გავრცელების, რეალიზაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, პროექტით ხდება ბეჭდური პროდუქციის (როგორებიცაა წიგნები, გაზეთები, ჟურნალები და სხვა) სარეალიზაციო შენობა-ნაგებობების დამატება.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან. პროექტი მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჯოლიანის თქმით, დადგენილების პროექტის სათაურში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება და დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ასევე, ანალოგიურად უნდა გასწორდეს საქართველოს მთავრობის N255 დადგენილების სათაური წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებში.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე წარუდგინა, „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ „მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ (ს/კ: 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ „მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N148 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულების საგანია შპს „თბილისი პარკს“-ისთვის 49 წლის ვადით ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - "მეიჯარე") საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით გადაცემა, მათზე მდგარი შენობებით და მათ ქვეშ არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით. ხელშეკრულებაში 2012 წლის 1 მაისს და 2012 წლის 8 ნოემბერს შევიდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები. ხელშეკრულების 7.1.3 „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მეიჯარემ იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაგირო გზის, ექსპლუატაციაში მიღება და საბოლოოდ მოიჯარისთვის გადაცემა უზრუნველყო არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივნისამდე.

მომხსენებლის მითითებით, ხელშეკრულების 1.2.3 ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ ხელშეკრულებით თავდაპირველად განსაზღვრული საბაგირო გზის ქვედა სადგურის ან/და საბაგიროს გზის ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი საჭირო ბოძების ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია დასახელებული საბაგირო გზის ქვედა

სადგურის ან/და ბოძების ნაცვლად, საიჯარო ქონების სახით მოიჯარეს იჯარით გადასცეს ახლადაშენებული სადგური ან/და დამონაწესებული ბოძები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათი ფუნქციონირების დაწყებისთანავე, საიჯარო ქირის ოდენობის შეუცვლელად.

მარიამ კვერნაძის მითითებით, დღეის მდგომარეობით, მოიჯარეს მეიჯარისთვის ხელშეკრულების ფარგლებში (წინასწარი) საიჯარო ქირის სახით გადახდილი აქვს 20,173,967.20 ლარი (9,081,849.08 ევროს ეკვივალენტი ლარში გადახდების განხორციელების დროისათვის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაცვლითი კურსით), აქედან, საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის - 8,986,945.35 ლარი. მისივე თქმით, მეიჯარის მიერ არ არის შესრულებული იჯარის ხელშეკრულების 7.1.3 „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ განხორციელებულა საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია, ექსპლუატაციაში მიღება და საბოლოოდ მოიჯარისთვის გადაცემა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 24 მაისს მოიჯარემ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს პირველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „თბილისი პარკის“ სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის ანაზღაურება 2014 წლის 1 ივნისიდან, მიუღებელი შემოსავლის სახით (აღნიშნული თანხა 2017 წლის 31 მაისისთვის შეადგენდა 5 218 670 ლარს). სარჩელის ფარგლებში მოიჯარის მეორე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს 2017 წლის ივნისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მეიჯარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება 5 435 ლარის ოდენობით, მხარეთა შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მოიჯარის მიერ სარჩელის ფარგლებში მოთხოვნილი თანხა 2020 წლის 23 ივნისის მდგომარეობით შეადგენს ჯამში 12 033 090 ლარს.

მარიამ კვერნაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული სარჩელის ფარგლებში ქალაქ თბილისის მერიის მიერ წარდგენილ იქნა შეგებებული სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნით - შპს „თბილისი პარკის“ მეიჯარის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტებლოსა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა გარკვეული თანხების გადახდა. აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2019 წლის 10 ივნისს სასამართლო გადაწყვეტილებით, არცერთი მხარის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, ხოლო შპს „თბილისი პარკის“ სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნებოდა არაზუსტ მტკიცებულებებს. კერძოდ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების სამართლებრივი ანალიზის შედეგად, შპს „თბილისი პარკის“ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში განვითარებული მსჯელობა დაუსაბუთებელია, არ შეიცავს ზიანის მოცულობის ზუსტ დაანგარიშებას და წარმოდგენილი ფორმით ვერ დაკმაყოფილდება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ორივე მხარის მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რაზეც დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

მომხსენებლის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეიჯარის მიერ შეცვლილ იქნა საბაგირო გზის ქვედა სადგურის მდებარეობა და დადგენილ იქნა მისი ახალი მდებარეობა შემდეგი საკადასტრო ერთეულებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე: ს/კ: 01.15.05.003.080; 01.15.05.003.085; 01.15.05.003.090, რამაც გამოიწვია ს/კ: 01.15.05.003.008 მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული ინდივიდუალური მესაკუთრეებისაგან ფართების გამოსყიდვის აუცილებლობა. დღეის მდგომარეობით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ გაფორმებულია უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებები ს/კ: 01.15.05.003.008 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართების

შესაბამისი მესაკუთრეებთან, მათი საკუთრების გამოსყიდვის მიზნით, ამავე ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობებით.

მომხსენებელმა აღნიშნა ასევე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ შორის 2020 წლის 6 ივლისს გაფორმებული „მხარეთა შორის მორიგების და ქალაქ თბილისის მთავრობასა, შპს „თბილისი პარკს“ შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებული მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ წლის 10 ივლისის №20.726.913 განკარგულების საფუძველზე, 6 ივლისის შეთანხმების 14.1.1 პუნქტის შესაბამისად, მეიჯარის მიერ მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება მორიგების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის თაობაზე, რის შესახებ შეტყობინებაც მეიჯარის მიერ მოიჯარეს გაეგზავნა 2020 წლის 13 ივლისის წერილით. 6 ივლისის შეთანხმების 14.1.2 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 15 ივლისს მხარეებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას საქმის მორიგებით შეწყვეტის მიზნით. თუმცა, დღეის მდგომარეობით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიერ არ არის დამტკიცებული 6 ივლისის შეთანხმება და არ არის შეწყვეტილი სასამართლო საქმე.

მომხსენებლის მითითებით, სასამართლოს მიერ მორიგებით სასამართლო საქმის შეწყვეტის (მორიგების დამტკიცების) მიზნით, მხარეების ერთობლივი გადაწყვეტილებით, საჭიროა გაუქმდეს 6 ივლისის შეთანხმება და დაიდოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებული შეთანხმება, რასთან დაკავშირებითაც მხარეები ერთობლივი განცხადებით ხელახლა მიმართავენ სასამართლოს. მანვე დაამატა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხსენებული სასამართლო დავის მორიგებით დასრულებისა და საბაგირო გზის პროექტის განხორციელების მიზნით, მეიჯარესა და მოიჯარეს შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ, დადონ წინამდებარე განკარგულებით წარმოდგენილი შეთანხმება ხელშეკრულებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე, შემდეგი პირობებით:

- იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული საბაგიროს გზის ქვედა სადგური განთავსდება და საიჯარო ქონებას წარმოადგენს 01.15.05.003.080; 01.15.05.003.085; 01.15.05.003.090 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება მთლიანად და 01.15.05.003.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ის ნაწილი, რომელზეც ფაქტობრივად განთავსდება საბაგირო სადგურის სათავე ნაგებობა/ინფრასტრუქტურა. ასევე, საიჯარო ქონებას წარმოადგენს საბაგირო გზის ბოძების განსათავსებლად საჭირო ის უძრავი ქონება, რომელზეც ფაქტობრივად განთავსდება შესაბამისი საბაგირო ინფრასტრუქტურა. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, შეთანხმებით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე იჯარის ვადად მიიჩნევა იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა (იჯარის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 49 წელი).
- საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში მიღებისა და მოიჯარისთვის გადაცემის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა გაგრძელდება და განისაზღვრება განკარგულებით წარმოდგენილი შეთანხმების ძალაში შესვლიდან 24 თვით. ნაწილი სამუშაოების (გონდოლას ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდება, პროექტის ინჟინერინგი, მონტაჟი, ტექნიკური დახმარება და ექსპლუატაციისთვის მომზადება) განხორციელებას უზრუნველყოფს კომპანია „Doppelmayr Seilbahnen GmbH, A6961 Wolfurt Austria“, მასსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2012 წლის 5 ივნისს გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებისა და მასში შესაძლოდ შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, ხოლო დანარჩენ სამუშაოებს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის/შპს „თბილისის

სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეული კომპანია/კომპანიები. ასევე, მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, საბაგირო გზის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ტექნიკურ გამართულობაზე და უზრუნველყოფს მათ დადასტურებას „Doppelmayr Seilbahnen GmbH, A6961 Wolfurt Austria“-სთან გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით.

- მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას, ინდივიდუალური მესაკუთრისაგან (ფ.პ. ელგუჯა ბურდული, პ/ნ: 01017002738) შესაბამისი ფართის (ს/კ: 01.15.05.003.008.01.506; 01.15.05.03.008.01.507; 01.15.05.03.008.01.508; 01.15.05.003.008.01.510; მდებარე ქ. თბილისში, გაბაშვილის N6) გამოსყიდვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სანაცვლოდ (სასარგებლოდ) ინდივიდუალურ მესაკუთრეს გადაუხადოს მოიჯარეს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და შესაბამის ინდივიდუალურ მესაკუთრეს შორის სამმხრივი უძრავი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ამასთან, მოიჯარის მიერ გადახდილი ზემოაღნიშნული თანხა არ მიიჩნევა საიჯარო ქირად და არ ჩაითვლება იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი საიჯარო ქირის ანგარიშში. აგრეთვე, მოიჯარეს აღარ მოუწევს სხვა რაიმე სახის დამატებითი თანხების გაღება საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის, მისი ექსპლუატაციაში მიღებისა და მოიჯარისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. თუმცა, მოიჯარე ვალდებული იქნება საიჯარო ქირის გადახდა გააგრძელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მხოლოდ იმ პერიოდიდან, როდესაც ამოიწურება მოიჯარის მიერ წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა.
- იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე ვერ შეასრულებს საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში მიღებისა და მოიჯარისთვის გადაცემის ვალდებულებას შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში, მოიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება საბაგირო გზის ნაწილში და მოითხოვოს შეთანხმებით გათვალისწინებული თანხების გადახდა სრულად. კერძოდ, ზემოაღნიშნული საფუძველით მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მეიჯარე მოიჯარეს გადაუხდის/დაუბრუნებს მის მიერ საიჯარო ქირის სახით წინსწრებით გადახდილ 3,986,713.62 ევროს ეკვივალენტს ლარში, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად და ინდივიდუალური მესაკუთრისაგან ფართის გამოსყიდვის მიზნით მესაკუთრისათვის მერიის სასარგებლოდ (სანაცვლოდ) გადახდილ თანხას, მოიჯარის მიერ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, მოიჯარის მიმართვის საფუძველზე, სასამართლო გასცემს საალსრულებო ფურცელს აღნიშნული თანხების მოიჯარის სასარგებლოდ მოიჯარისათვის დაკისრების შესახებ.
- მხარეები თანხმდებიან, რომ საბაგიროს ექსპლოატაციაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში მეიჯარე უზრუნველყოფს, რომ მის მიერ 100%-ით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ მოიჯარესთან გააფორმებს უსასყიდლო სერვიტუტის ხელშეკრულებას 01.15.05.003.008 საკადასტრო კოდზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმების დანართით გათვალისწინებული კონფიგურაციის (სიტუაციური ნახაზის) შესაბამისად. მხარეთა შორის სერვიტუტის ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა. მეიჯარე უზრუნველყოფს, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ უსასყიდლო სერვიტუტის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე არ განახორციელებს ისეთი

ქმედებას, რომელიც ხელს შეუშლის მოიჯარეს უსასყიდლო სერვიტუტის უფლების სრულფასოვან გამოყენებაში.

- მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების (მორიგების) საფუძველზე შეწყდება სასამართლო დავა (როგორც სარჩელის, ასევე, შეგებებული სარჩელის ნაწილში), ისინი უარს ამბობენ დავის ფარგლებში ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებაზე, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალის, პირგასამტეხლოსა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე და მათ არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით მიმართონ სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, არსებითად იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.
- მეიჯარე აღიარებს, რომ იჯარის ხელშეკრულების 7.1.3. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში მიღებისა და მოიჯარისთვის გადაცემის ვადის დარღვევის გამო, მოიჯარეს მიადგა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით, რომელიც მოიჯარეს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულების შემთხვევაში. თუმცა, აღნიშნული პუნქტი არცერთ შემთხვევაში არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მეიჯარე ირიბად ან/და პირდაპირ, სრულად ან/და ნაწილობრივ აღიარებს ან/და ეთანხმება სასამართლო საქმის ფარგლებში მოიჯარის მიერ დავის საგნით განსაზღვრული თანხების (ზიანის ოდენობა 2017 წლის 31 მაისის მდგომარეობით და მას შემდეგ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე) მეიჯარისთვის დაკისრებას, მათ შორის, თანხების ოდენობის ან/და მათი გამოთვლის წესთან დაკავშირებით. ამასთან, მოიჯარე აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით უარს ამბობს, მას არ აქვს და არ წარმოეშობა მეიჯარის მიმართ იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული საბაგირო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში მიღებისა და მოიჯარისთვის გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალის, პირგასამტეხლოსა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გარდა მხოლოდ იმ შემთხვევისა, თუ მოიჯარე შეთანხმების მე-5 მუხლის შესაბამისად შეწყვეტს ხელშეკრულებას.
- მხარეთა მიერ შეთანხმების ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, შეთანხმება მხარეების ერთობლივი განცხადებით მიმართვის გზით, საქმის მორიგებით შეწყვეტის მიზნით, წარედგინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მის დასამტკიცებლად. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ამავე განცხადებით გამოითხოვენ სასამართლოში 2020 წლის 15 ივლისის წარდგენილ განცხადებას 6 ივლისის შეთანხმების მორიგებით დამტკიცების თაობაზე.
- შეთანხმება ძალაში შედის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მისი მორიგებით დამტკიცებისა და საქმის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.
- ამასთან, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის თანახმად, მისი ხელმოწერისთანავე სრულად უქმდება 6 ივლისის შეთანხმება (ამავე შეთანხმების მე-14 მუხლის ჩათვლით), იგი არ შევა ძალაში და მას არ აქვს არანაირი იურიდიული ძალა.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „თბილისი პარკს“ (ს/კ 404911789) შორის 2012 წლის 27 მარტს გაფორმებულ „მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N148 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჯოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ლ“ პუნქტი.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. თამარ მელიქიშვილმა, წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 საკითხი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება, ქ. თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. N337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, შპს „ოცნების სახლის“ საკუთრებაში არსებულ 1 958 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთში, რომელიც ასევე მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის IIIა მ/რ-ში, №180 სკოლის მიმდებარედ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1 958 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, სხვა 633 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან ერთად, 2017 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა თანასაკუთრებაში გადასცა ლაშა ადუაშვილს და ზაურბეგ გურციევს, ხოლო მუნიციპალიტეტს სანაცვლოდ საკუთრებაში გადმოეცა აღნიშნული პირების საკუთრებაში არსებული გარკვეული მიწის ნაკვეთები. აღნიშნული ადგილმონაცვლეობა მოთხოვნილი იყო იმ არგუმენტაციით, რომ მათ კუთვნილ უძრავ ქონებაზე 2007 წელს მათთან შეუთანხმებლად მოეწყო ჯერ სპორტული მოედანი, ხოლო 2017 წელს - ბავშვთა გასართობი ატრაქციონები.

საკითხის წარმომდგენმა იქვე აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა, გადაცემული 1 958 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, 2018 წელს ნასყიდობის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადასცეს შპს „ოცნების სახლს“, მიწის ნაკვეთზე ასაშენებელ შენობაში გარკვეული ოდენობის ფართების მათთვის გადაცემის ვალდებულებით. თუმცა, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა არ დააკმაყოფილა კომპანიის განაცხადი, მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მოთხოვნა, ვინაიდან, მიწის ნაკვეთი მდებარეობს ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში და წარმოადგენს საჯარო სკოლის მიმდებარე საერთო სარგებლობის, გამწვანებულ ტერიტორიას, რეკრეაციული მახასიათებლების მქონე სივრცეს.

როგორც ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, კომპანიის დირექტორმა, განცხადებით მიმართა მერიას და გასაცვლელად ითხოვა ქ. თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორ. N337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთი რომლის გადაცემის შემთხვევაში, მისი შემდგომი განვითარებისას გათვალისწინებული იქნება მერიის სამსახურების პოზიცია და მათი მოთხოვნები. მერიაში ასევე წარმოდგენილია მალხაზ გურციევის და ლაშა ადუაშვილის ნოტარიულად

დამოწმებული თანხმობები 1 958 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის მონაცვლეობის საკითხზე. ამასთან, მომხსენებლის თქმით, კომპანიის დირექტორის პოზიციის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების შემთხვევაში, სხვაობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს კომპანია გადაიხდის დამატებით. ხოლო, კომპანიის მიწის ნაკვეთის უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების გამოვლენის შემთხვევაში, სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არანაირი პრეტენზია თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

სსიპ ქონების მართვის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2017 წელს ლაშა ადუაშვილისთვის და ზაურბეგ გურციევისთვის თანასაკუთრებაში გადაცემული მეორე 633 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ამ ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით. შემდგომში, 2020 წელს არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო მოთხოვნაზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ დაკმაყოფილებულია ამ საკადასტრო ერთეულზე მრავალსართულიანი შენობის აშენების საკითხი, რაც გულისხმობს ლაშა ადუაშვილის და მათი გურციევის ინტერესების დაკმაყოფილებას.

თამარ მელიქიშვილმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ურბანული განვითარების სამსახურმა, შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნილი უძრავი 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გასხვისება/გაცვლა და მისი შემდგომი სამშენებლო განვითარება მოქმედი ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ფუნქციით.

ქალბატონი თამარის თქმით, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

- 2020 წლის 12 ივნისის ექსპერტიზის დასკვნით, 1 958 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2020 წლის 12 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 749 914 ლარის ოდენობით.
- ხოლო, 2 379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2020 წლის 12 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 868 335 ლარის ოდენობით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გაიზიარა მუნიციპალიტეტის ორგანოების პოზიცია 1 958 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, ვინაიდან, აღნიშნული ტერიტორიის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება შესაძლებელს გახდის იგი გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივ სივრცედ, ამასთან, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 120 000 (ას ოცი ათასი ათასი) ლარი, როგორც, აღნიშნულ საექსპერტო დასკვნაში მითითებულ თანხებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მითითდეს მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასური.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. თამარ მელიქიშვილმა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. I შესახვევი, N1-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცემა შპს „ქართულ-უკრაინული სამშენებლო ჯგუფს“, კომპანიის საკუთრებაში არსებული 1,087 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ მაღალი განაშენიანების ზონაში მდებარე, 1,087 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ზემოაღნიშნული კომპანია გეგმავდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას, რასაც მოჰყვა მეზობელი კორპუსების მაცხოვრებლების უარყოფითი რეაქცია, რის გამოც კომპანიამ ითხოვა აღნიშნული ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება და სანაცვლოდ 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, კომპანიის შემდგომი საქმიანობის გაგრძელების მიზნით.

როგორც ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული კომპანიის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის გადაცემის შემთხვევაში, კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, გაითვალისწინოს მერიის სამსახურების პოზიცია და მათ მოთხოვნები. ამასთან, თუკი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება მეტი იქნება კომპანიის მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებაზე, კომპანია მზადყოფნას გამოთქვავს გადაიხადოს სხვაობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება იქნება უფრო მაღალი, ვიდრე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, სხვაობასთან დაკავშირებით კომპანიას არ ექნება არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე შემდგომში მოეწყოს პარკი და გავრცელდეს სარეკრეაციო ზონა 2. ნაცვლად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისა. რაც შეეხება სანაცვლოდ მოთხოვნილ 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთს სსიპ - ურბანული განვითარების სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვა და მისი შემდგომში სამშენებლო განვითარება მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად.

თამარ მელიქიშვილმა იქვე დასძინა, რომ გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ:

- ექსპერტიზის დასკვნით, 3,406 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2020 წლის 8 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1,008,176 ლარის ოდენობით.
- ხოლო, 1,087 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეფასდა როგორც ვაკანტური მიწის ნაკვეთი და მისი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 3 ივლისის მდგომარეობით განისაზღვრა 831,555 ლარის ოდენობით.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, საპრივატიზებო საფასურით - 177 000 (ას სამოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიესალმება აღნიშნული მიწის ნაკვეთის მონაცვლეობას, კომისიის თავმჯდომარემ იქვე დასძინა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გამგეობა გეგმავს სარეკრეაციო სივრცის მოწყობას.

ბატონმა ლევანმა იქვე დასძინა, რომ სასურველია შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები და რედაქტირების შემდეგ ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. მარიამ კვერნაძემ წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-6 საკითხი - „ქ. თბილისში, დიდი დილომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დილომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 ივლისის N162 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

საკითხზე საუბრისას მომხსენებელმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 ივლისის N162 განკარგულებით შეთანხმებული, მხარეთა შორის დასადები ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტმა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს საკუთრებაში უნდა გადასცეს მიწის ნაკვეთი, მათი მხრიდან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ. ამავდროულად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია იღებს ვალდებულებას მიწის ნაკვეთზე განავითაროს სამშენებლო პროექტი და კოოპერატივის წევრებს გადასცეს ხელშეკრულების დანართში მითითებული ფართის საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით, რისთვისაც მას კოოპერატივის წევრები საკუთრებაში გადასცემენ მიწის ნაკვეთს, შესაბამისი ვალდებულებების შესრულების პირობით.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, კოოპერატივის ერთ-ერთი წევრის - ელენე თავაძის პირადობის მოწმობა გაუქმდა მისი მოქმედების ვადის გასვლის გამო. ქალბატონი მარიამის თქმით, აღნიშნული მოქალაქე ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ახერხებს პირადობის მოწმობის მიღებას უახლოეს ვადაში, ვინაიდან, დაბადების მოწმობის სააქტო ჩანაწერის არარსებობის გამო, აღნიშნული ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, რომლის მიღებაც დაკავშირებულია დროის ხანგრძლივ პერიოდთან.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ მოქალაქე ელენე თავაძემ სააგენტოში წარადგინა განცხადება, რომლითაც განმარტა, რომ ვინაიდან, ხელშეკრულების გაფორმება უნდა

განხორციელდეს მის გარდა სხვა პირებთანაც, მის მიერ პირადობის მოწმობის მიღების შეუძლებლობა, გამოიწვევს ხელშეკრულებების დადების პროცესის შეფერხებას. ამიტომ, ამ პროცესის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, იგი უარს აცხადებს აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების მიღებაზე, თანახმაა ჩანაცვლდეს სხვა პირით და პირადობის მოწმობის მიღების შემდგომ, დაკმაყოფილდეს სხვა უძრავი ქონებიდან შესაბამისი წილის მიღების გზით.

როგორც ქალბატონმა კვერნაძემ აღნიშნა, ელენე თავაძე ჩანაცვლდა სხვა პირით, რომელიც აკმაყოფილებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგენილ დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობის კრიტერიუმებს. კერძოდ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ელენე თავაძის ნაცვლად, ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრის, ნაპო კვარაცხელიას დაკმაყოფილების თაობაზე.

ქალბატონმა მარიამმა ასევე აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილია, ნაპო კვარაცხელიას წარმომადგენლის ნოტარიული თანხმობა, რომლითაც იგი ადასტურებს, რომ ქ. თბილისში, დიდი დილომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილის მიღებით, მოგვიანებით კი ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის საცხოვრებელი ბინის მისთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს აცხადებს მის მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჯოლიანის განმარტებით, მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118¹-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს განუმარტა, რომ დედაქალაქის მერია აგრძელებს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული მოქალაქეების ფართებით ეტაპობრივად დაკმაყოფილებას. მისივე თქმით, დღევანდელ სხდომაზე ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს - მოქალაქე ანნა მარტაშვილს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემა 87.95 კვ. მ. უძრავი ქონება.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილით დასტურდება, რომ ანნა მარტაშვილი ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 15 წელი, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეთა ჩვენებების თანახმად იგი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან დღემდე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა იქვე დასძინა, რომ სააგენტოში წარდგენილია ანნა მარტაშვილის თანხმობა, რომლითაც იგი ადასტურებს, რომ მის

დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, უარს აცხადებს მის მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ამასთან, წარდგენილია, ანა მარტიაშვილის ოჯახის წევრების თანხმობა, რომლითაც ისინი ადასტურებენ, რომ თანახმა არიან ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაეცეს ანა მარტიაშვილს.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებს უნდა დაემატოს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. ასევე უნდა დაემატოს, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის № 419 განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქ. მუნიციპალიტეტის მთავრობის №20.777.971 განკარგულება და გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, შესაბამისად განკარგულების პროექტის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-8 საკითხზე საუბრისას თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ალექსი გობრონიძის ქუჩა N25 ზ-ში მდებარე 7 (შვიდი) ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლური ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქეებს, კერძოდ:

გიორგი ცინცაძე - 49.60 კვ.მ; დავით პაპავა - 49.98 კვ.მ; თამაზ კუბლაშვილი - 35.23 კვ.მ; თეონა არველაძე - 56.38 კვ.მ; გიორგი ზარიძე - 88.35 კვ.მ; რობიზონ წიწაკიშვილი - 57.10 კვ.მ; დავით შარიძე - 57.10 კვ.მ.

მომხსენებლის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდან-ნაძალადევის რაიონის სამმართველოს წერილზე თანდართული გასაუბრების ოქმისა და ასევე, ბინათმშენებლობა ამხანაგობის „ნოვატორი 1“-ის სანოტარო წესით დამოწმებული კრების ოქმის მიხედვით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები აღნიშნულ ფართებში ცხოვრობენ 2011 წლიდან. ამასთან, თამარ მელიქიშვილის თქმით, აღნიშნული მოქალაქეები დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულნი არ არიან.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ დავით პაპავა თანასაკუთრებით ფლობდა საცხოვრებელ ფართს მუხიანის დასახლებაში, რომელიც, დღეის მდგომარეობით, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირებულია სხვა პირის სახელზე.

ქალბატონმა მელიქიშვილმა იქვე აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილია, სანოტარო წესით დამოწმებული, მოქალაქე ნანა კობახიძის განცხადება, სადაც აღნიშნული პირი მიუთითებს, რომ 2018 წელს მის მიერ შეძენილი საცხოვრებელი ბინა დროებით იქნა დარეგისტრირებული

თეონა არველაძის მეუღლის სახელზე, მოგვიანებით, აღნიშნული უძრავი ქონება აღრიცხულ იქნა თავის (ნანა კობახიძის) სახელზე.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააგენტოში წარდგენილ მასალებს ასევე ახლავს, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართების ამსახველი ფოტომასალა.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თვითნებურად დაკავებული ფართების გადაცემით დაინტერესებული ზემოაღნიშნული პირებისა და მათი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქ. თბილისის მთავრობის N20.600.741 განკარგულების სათაური, ასევე, მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და პროექტის პირველი პუნქტი, რედაქტირების შემდეგ ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, პროექტის მე-2 მუხლი შესწორდეს სტილისტური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-9 საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩის II ჩიხი, N10-ში, მე-2 სართულზე მდებარე 3.67 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლური ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემა, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე სოფიო კაპანაძეს, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფიო კაპანაძეს 2019 წელს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩის II ჩიხი, N10-ში მდებარე 21.70 კვ.მ უძრავი ქონება. ამასთან, სხვა უძრავი ქონება სოფიო კაპანაძისა და მის ოჯახის წევრებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, ასევე, მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. თამარ მელიქიშვილმა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ქინძმარაულის ჩიხი N4-ში მდებარე 45,22 კ.მ. ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლური ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემა, არადგენილის სტატუსის მქონე მოქალაქე - მანანა ჯვარშიშვილს, რომელსაც სოციალურად დაუცველის ოჯახების მონაცემთა ბაზით მინიჭებული აქვს 60580 ქულა.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ მანანა ჯვარშიშვილი 2008 წლიდან ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში, რაც დასტურდება, როგორც ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-5 განყოფილების წერილზე თანდართული გასაუბრების ოქმის მიხედვით, ასევე, გამგეობის საუბნო განყოფილების თანამშრომლის მიერ შედგენილი ოქმით და მოქალაქეების: რუსუდან მამრიკაშვილი, ნათია ფრანგიშვილი და გიზო მამრიკაშვილის, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით.

როგორც ქალბატონმა მელიქიშვილმა განმარტა, სააგენტოში წარდგენილია უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის ამსახველი ფოტომასალა.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე მანანა ჯვარშიშვილის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქ. თბილისის მთავრობის N20.685.839 განკარგულების სათაური, ასევე, მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, პროექტის მე-2 მუხლი შესწორდეს სტილისტური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-11 საკითხთან მიმართებაში, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლება, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი

ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცემათ არადევნილის სტატუსის მქონე შემდეგ პირებს:

დალი სეხნიაშვილი - 91.38კვ.მ; გულნარა მიქავა - 90.56კვ.მ; ელისო ფარჯველიანი - 67.12 კვ.მ; ლალი საღლიანი - 133.70 კვ.მ.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილზე თანდართული ოქმებითა და ასევე, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით, დასტურდება, რომ აღნიშნული პირები 2002-2005 წლებიდან ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ მისამართზე: ქ.თბილისი აეროპორტის დასახლება, რკინიგზის ჩიხი N2-ში განთავსებულ შენობა-ნაგებობაში.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნული პირების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჯოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები და რედაქტირების შემდეგ ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. თამარ მელიქიშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-12 საკითხად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N12-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 32.24 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად მოქალაქე ფატი ბენიძისთვის გადაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, ნოტარიულად დამოწმებული აქტების თანახმად მოქალაქეები კლარა სონგულია, ლიმო ქარდავა და მზია ელიავა ადასტურებენ, რომ ფატი ბენიძე 2003 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე ოჯახთან ერთად. მისივე თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი ასევე დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნამალადევის სამმართველოს პოლიციის X განყოფილების შესაბამისი წერილით.

ქალბატონმა თამარმა იქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, გლდანის რაიონის გამგეობის რეკომენდაცია, მოქალაქე ფატი ბენიძისთვის მის სარგებლობაში არსებული ფართის გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ფატი ბენიძის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჯოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად“, შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი რედაქტირების შემდეგ ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. თამარ მელიქიშვილმა, წესრიგით გათვალისწინებულ მე-13 საკითხზე საუბრისას, აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა № 1-ში, მე-4 სართულზე მდებარე 43.13 კვ. მ. უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარინე მურჯიკენელს, რომელიც 10 წელზე მეტია მუდმივად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკიხის წარმომდგენის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდან-ნაძალადევის სამმართველოს მე-X განყოფილების შესაბამისი წერილით, ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ნაპერწკალის“ 2019 წლის 14 იანვრის კრების ოქმითა და გლდანის რაიონის საუბნო განყოფილების წერილით დასტურდება რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2007 წლიდან.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჯოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №20.779.969 განკარგულების სათაური, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“, შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-14 საკითხს, თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში, პირველ სართულზე მდებარე 97.63 კვ.მ ფართობის ბინა N1-ი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცემა

არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე გრიგოლი კლდიაშვილს, რომელიც 27 (ოცდაშვიდი) წელია ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ ფართში, რაც დასტურდება, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს წერილზე თანდართული გასაუბრების ოქმითა და ასევე, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე გრიგოლ კლდიაშვილის და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სასურველია შეიცვალოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები და რედაქტირების შემდეგ ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. მომხსენებელმა, ასევე ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-15 საკითხზე და განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N17-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით ნელი მუხლიშვილისთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლის ვადით;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური შეადგენს - 2340 (ორი ათას სამასორმოცი) ლარს.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პირის საკუთრებაშია, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N17-ში მდებარე უძრავი ქონება.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია კაფის მოწყობაზე ნებართვის გაცემა სცილდება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს. აქედან გამომდინარე სამსახური მოკლებულია საკითხზე პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, განკარგულების პროექტის მესამე პუნქტში მიეთითოს განკარგულების გასაჩივრების ადგილის სწორი მისამართი, შესაბამისად, განკარგულების პროექტის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-16 საკითხთან მიმართებაში ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N23-33-ის მიმდებარედ არსებული 981 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცემა, შპს „სანრაიზ ჰოსფიტალს“, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2027 წლის 1 აპრილამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური შეადგენს - 1730 (ათას შვიდას ოცდაათი) ლარს.

თამარ მელიქიშვილის თქმით, აღნიშნული იურიდიული პირის სარგებლობაშია, ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N31-ში მდებარე უძრავი ქონება 2027 წლის 1 აპრილამდე ვადით.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს №14-39 დადგენილებით დამტკიცებული მოთხოვნები.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, განკარგულების პროექტის მესამე პუნქტში მიეთითოს განკარგულების გასაჩივრების ადგილის სწორი მისამართი, შესაბამისად, განკარგულების პროექტის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. თამარ მელიქიშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, რიგით მე-17 საკითხი და განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ბერნინისთვის“ იჯარით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 23 მაისამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასური შეადგენს - 5 400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული იურიდიული პირის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N40-ის მიმდებარედ არსებული შესაბამისი უძრავი ქონება, 2021 წლის 23 მაისამდე ვადით.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია

კაფის მოწყობაზე ნებართვის გაცემა სცილდება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს. აქედან გამომდინარე სამსახური მოკლებულია საკითხზე პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას.

აზრი გამოთქვა:


კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, განკარგულების პროექტის მესამე პუნქტში მიეთითოს განკარგულების გასაჩივრების ადგილის სწორი მისამართი, შესაბამისად, განკარგულების პროექტის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



ლევან ჟორჯოლიანი

სხდომის მდივანი



სოფიკო მამალაძე